პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 14 მაისი № 110 (17753) ფასი 2 კაპ.

ბანაკიც სკოლაა

ბაიხი დაძაბული შრომის თვეა სკოლაში. სწავლის ფრონტზე ყოველდღიურად ძლიერდება ცოდნისათვის მოლაშქრე მოსწავლე ახალგაზრდობის მილიონიანი არმია. იერიში ახალ-ახალი მიჯნების ასაღებად. სასწავლო წლის მიწურულის დიდი საზრუნავი აქვთ სკოლას, მასწავლებლებსა კოლექტივს, სასკოლო პარტიულ, კომკავშირულ, პიონერიულ ორგანიზაციებს, მაგრამ მაიისის დამთავრებისათვის ზრუნავენ, ცოდნისათვის ზრუნვის პარალელურად, დასვენებისათვის ზრუნვა — კარს გვიკაკუნებს პიონერული ზაფხული — აღზრდის დიდი პროცესის ეს განუყოფელი ნაწილი. ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით უმჯობესდება ბავშვთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია, პიონერული ბანაკებისა და შრომისა და დასვენების ბანაკების მატერიალური ბაზა. საზაფხულო არდადეგების მთელ მანძილზე მოსწავლეთა შრომითი და ზნეობრივი აღზრდა სასწავლო წლის სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ბუნებრივი გაგრძელებაა. ბავშვთა საზაფხულო არდადეგები მუდამ მიმდინარეობს ლენინისაგან ნაანდერძევი დევიზით — „ყველაფერი კარგი — ბავშვებს!“, ლენინისა, რომლის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების ტრადიციულ დღეს ცხრამეტ მაისს ვიზეიმებთ.

პიონერული ზაფხულის მთელ მანძილზე, ისევე როგორც მუდამ, უნდა გვახსოვდეს ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევის მამობრივი სიტყვები: ბავშვები ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ ბედნიერი, მშვიდი და სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მჩქეფარე, სიცოცხლითა და ხალისით სავსე იყოს პიონერული, ბავშვთა ზაფხული. როგორი იქნება ეს ზაფხული?! კარგად უპასუხეთ ამ კითხვაზე: — დაე, ამინდი „ცას“ მივანდოთ, მაგრამ მოდით, ყოველივე „მიწიერი“, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, შევასრულოთ და გავაკეთოთ ბავშვებისათვის.

ეს საზრუნავი აქვთ ახლა რესპუბლიკის პროფკავშირებს, კომკავშირს, ჯანმრთელობისა და განათლების, ვაჭრობისა და კვების სამინისტროებს, მშენებლებს, ტრანსპორტის მუშაკებს, იმ საწარმოთა კოლექტივებს, რომელთა ბაზაზეც პიონერული ბანაკი იმუშავებს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორიაში პირველად ბოლო წლების მანძილზე, კერძოდ, წელს ესოდენ ფართო მასშტაბით დგება ბავშვთა დასვენებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის საუკეთესო გზებიც მონახულია.

საქართველოს პროფსაბჭომ, კომკავშირმა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მთელი თავიანთი გამოცდილება უნდა მოახმაროონ იმას, რომ საზაფხულო არდადეგები იყოს ბავშვთა გონივრული გართობა-დასვენების, შრომის, აღზრდის, ფიზიკური სრულყოფის ზაფხული. უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება პიონერთა ბანაკების წლევანდელი საზაფხულო სეზონისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის, ყველამ, ვისაც ეს დიდი საქმე აკისრია, უნდა გაითვალისწინოს, რომ ცოტა დრო დარჩა სეზონის დაწყებამდე.

ოჯახიდან და სკოლიდან ჩვენი ბავშვები — იმედი, მომავალი — ზაფხულის პერიოდში პიონერულ ბანაკებში გადაინაცვლებენ. ბანაკებმა და მათმა კოლექტივმა უნდა შეძლონ გაუწიონ დამსვენებელ ბავშვებს ოჯახისა და სკოლის მაგივრობა. ჯერაც აკლიათ დასაკომპლექტებელ ბანაკებს პედაგოგები, ექიმები, ფიზკულტურის მასწავლებლები. უმაღლესი სასწავლებლის უფროსი კურსების სტუდენტები, გასული წლების მაგალითისამებრ, უნდა გამოჰყონ პიონერთა ბანაკებში სამუშაოდ. დიდი მნიშვნელობა უფროსი ამხანაგისა და მეგობრის — ინჟინრის, ექიმის, წარმოების ოსტატის დ, რაც თქმა უნდა, მასწავლებლის ყოფნისა პიონერებს შორის, მათი შობლიური გულის სითბოსი, რასაც საზაფხულო არდადეგების პერიოდში უნდა იჩენდნენ ბავშვთა შრომითი ჩვევების გამოშუშვების, გონივრული გართობა-დასვენებისათვის.

არსებული სტაციონარული პიონერული ბანაკები, ცხადია, ვერ მიიღებს დამსვენებელთა მთელ კონტინგენტს, ჯერჯერობით საჭირო ხდება შესაფერისი ბინების, შენობა-ნაგებობათა დაქირავება. ათას ერთ ბანაკი დაქირავებულ შენობებშია — სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და სხვ. ამ პროცესს გულისხმიერება, ოპერატიული მოქმედება სჭირდება, რათა შენობები კეთილმოეწყოს და სრულფასოვანი იყოს კონტინგენტის მისაღებად. ისე არ უნდა მოხდეს, რომ რესპუბლიკის ბავშვებისათვის სანანაკოდ შენობები არ გვეყოს იმის გამო, რომ იგი თურმე უკვე სხვებს — რესპუბლიკის გარეთა ორგანიზაციებს დაუქირავებიათ! თითქმის ას ოთხმოცი ათასი ბავშვი დასვენდნენ წელს — ოცი ათასი ბავშვით მეტი, ვიდრე შარშან.

როდესაც პიონერულ ზაფხულზე, ბავშვთა დასვენებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ამ სეზონით. უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალ ხუთწლედში წელიწადში 230 ათასმა მოსწავლემ უნდა გაიაროს პიონერთა ბანაკები. ამას კი ხელს შეუწყობს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული პიონერთა ბანაკების ქსელის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების სამწლიანი გეგმის განხორციელება.

სწავლა შრომით! — ასეთია უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომადასვენების ბანაკების დევიზი. აქ მიღებული შრომითი ჩვევები ყმაწვილს ღიდობაში გაჰყვება, ხელს შეუწყობს მის მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას. მარტო შარშან სამასზე მეტ შრომა-დასვენების ბანაკში 43 ათასამდე მოსწავლემ გაატარა საზაფხულო არდადეგები. წელს ამ ბანაკებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა — უფროსკლასელები დაეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სახალხო შრომით სხეულს გაიკეთებენ და ცოდნასაც შეიძენენ. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის, შრომისა და დასვენების, გონივრული გართობის სამსახურში დგას პიონერთა საქალაქო ბანაკები, პროფილური (ტექნიკოსთა, მხატვართა, მათემატიკოსთა, უნიკოსთა) ბანაკები; ეს უკანასკნელი ფორმა კომკავშირმა შემოიღო, დაამკვიდრა და შედეგიც სასიამოვნოა — იფურჩქნება ნორჩთა შემოქმედებითი ნიჭი. კომკავშირს ფართო სამოქმედო ასპარეზი აქვს გადაშლილი საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული, ინტერნაციონალური, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ბავშვებისათვის პირდაპირ მოვლენად ითვლება ბანაკში კეთილი სტუმრის — შრომისა თუ ომის გმირის, მეცნიერისა თუ მწერლის, მსახიობის მობრძანება, მათთან შეხვედრა, საუბარი.

სანანაკო ცხოვრება მეტად ჩინებული ატმოსფეროა ბავშვთა დაახლოებისა და დამეგობრებისათვის. მთელ სიცოცხლეში გაჰყვებათ ადამიანებს, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, პიონერთა ბანაკში საუკეთესო ურთიერთობა ერთად წაკითხული წიგნი, ბედნიერ ბავშვთა მთელი ქალაქი, ზღაპრული ფეიერიული სამყარო, რომელშიც უზარმაზარი სიბარული სუფევს, — აი, როგორი შთაბეჭდილებით უნდა გვიბრუნდებოდნენ პიონერთა ბანაკებიდან ბავშვები შინ. ეს შეუძლებელი არ არის, თუ ყველანი, ყველანი, ვისაც გვეხება, ერთგულად, თავდადებით ვიმუშავებთ პიონერული ზაფხულისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდათუთმეტ წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი დაჯილდოდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 13 მაისი.

1980 საუთრლების ეკონომიკური 1980

საქართველო — შრომის ვახტზე!

მეტოქეობის ახალი ეტაპი

თბილისი. საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. შრომითი მეტოქეობა გაჩაღდა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, ლითონისა და სხვა მასალების ყაირათიანი ხარჯვისათვის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. წლეულს განსაკუთრებული აღმავლობით შრომობს მეთაური ქარხნის „ელექტროგამშვებ ი ს“ კოლექტივი. ოთხი თვის გეგმის გადამეტებით ასობით მარეგულირებელი მექანიზმი და სასიგნალო არმატურა დაამზადეს. ამწყობი საამქროს უბნის კოლექტივმაც შეასრულა ხუთწლიანი დავალება. სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი ახალგაზრდა დაწინაურდა საიარაღო საამქროშიც. მათ შორისაა ზეინკალი გ. ბარნოვი. („კომუნისტის“ კორ.).

პირადი ხუთწლედი შესრულებულია

ლენინგორი. („კომუნისტის“ საკ. კორ. გ. თედეიევი) თავდადებით იბრძვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადადე შესრულებისათვის თბილისის სამკერვალო ფაბრიკის ლენინგორის საამქროს კოლექტივი, მკერავთა უმრავლესობამ უკვე უპატაკა სამშობლოს პირადი ხუთწლედის გეგმების შესრულება. მათ შორის არიან ე. ნიაური, მ. ზარიძე და ე. ხრიკული, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ.

ახლა ლენინგორელები 10 სახეობის პროდუქციას უშვებენ, აქედან სამს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული.

დროის გასწრებით

გორი. (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტის № 10 შოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივის მიერ აგებულმა საცხოვრებელმა სახლებმა, საშუალო სკოლებმა და კლუბებმა, ხილსაცავებმა, მეცხოველეობის ფერმებმა და სხვა დანიშნულების ობიექტებმა კარგი შეფასება დაიმსახურა. ახლახან მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალება. შესრულდა 15.597 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც ხუთწლიან გეგმას სჭარბობს.

ЧАИ—80

საქართველო ჩაის კრეფაში

საქართველოს პლანტაციებში დაიწყო ჩაის კრეფა. რესპუბლიკის მეჩაიეობის ფლაგმანში — მახარაძის რაიონში ჩაის კრეფას პირველი შეუდგა სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც ა. ჩანჩიბაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ, რომელმაც შარშან გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი ჩაი მოკრიფა, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შეასრულა პლანტაციებში ზამთრისა და გაზაფხულის მთელი სამუშაოები, პირობა დადო, რომ წლევანდელ სეზონში იმავე ფართობზე მოიწევს თითქმის ას ტონა ფოთოლს — შარშანდელზე ბევრად მეტს.

ბრიგადაში ქართველები და რუსები, სომხები და უკრაინელები, მოლდაველები — რვა ეროვნების წარმომადგენლები ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ.

გაივლის რამდენიმე დღე და სოფელ კონჭკათის კოლმეურნეები თავიანთ თავს იხილავენ ახალ ფილმში — მათი სახელოვანი საქმეების მატიანეს ქმნის მოყვარულთა ადგილობრივი კინოსტუდია „ცისკარი“, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის ბიბლიოთეკარი გ. ტუღუში. ამჯერად ფილმი ეძღვნება ლენინურ შრომითს ვახტზე მდგომი კოლმეურნეობის ინტერნაციონალურ ბრიგადას.

ჩაის კრეფა დაიწყო რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეობებშიც — შრომაში, ნატანებში და სხვ. მახარაძელებმა ვალდებულება იკისრეს წელს ქვეყანას მისცენ 82 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ეს ციფრი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ არარეალური იყო.

ჩაის კრეფა-80 გამოირჩევა მექანიზაციის გაზრდილი დონით. მეურნეობებმა მიიღეს ისეთი მანქანებისა და იარაღების ახალი პარტიები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ამ კულტურის მოყვანის სხვადასხვა ოპერაცია, ჩაის საკრეფი ხელისა და მობილური მანქანები. აღებულია მზა პროდუქტის არა მარტო რაოდენობის გადიდების, არამედ ხარისხის გაუმჯობესების კურსი.

საქართველოს მეჩაიეებმა გაშალეს შეჯიბრება უმაღლესი მოსავლის — 460-470 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთლის მოწევისათვის, რაც 20 ტონით აღემატება შარშანდელ მოსავალს.

● ●

1980 წლის მოსავლის კრეფას შეუდგნენ აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები. მათ ვალდებულება იკისრეს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 62.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1200 ტონით მეტი, ვიდრე შარშან იყო დამზადებული.

პლანტაციებში პირველი გავიდნენ ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიეები.

სურათზე: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, კომკავშირელი შორენა ჩიბურდანიძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა მომდინარე წელს 4 ტონა პირველი ხარისხის ნედლეულის მოკრიფოს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა დელეგაცია ვარშავაში

ეგ. რაის, გამოჩენილ სახელმწიფოებრივ მოღვაწე, სახელმწიფოთა პოლიტიკური ორგანიზაციათა ლიდერი — მიიწვა ვარშავის შეხვედრაზე ხელმძღვანელობის თანამედროვე მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი.

აეროდრომზე დელეგაციის გასაცილებლად მივიღნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაბიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები და სხვა ამხანაგები.

დელეგაციას ვარშავაში გაჰყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. მალცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ბ. ტ. ბაკანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ხ. შახნაზაროვი.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჯ. ოლშევსკი.

ვარშავა, 13 მაისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ვარშავაში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მუშაობაში.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტში საბჭოთა დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაბლონსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ბაბიუხი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ბ. ი. არსტოვი.

შეხვედრის დროს გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები.

● ● ●

ამავე დღეს გაიმართა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრების და ამხანაგების ე. გერეკის, ჰ. იაბლონსკის, ე. ბაბიუხის, პოლონეთის სხვა ხელმძღვანელების მეგობრული საუბარი.

(საკდესი).

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განხილულს ქვეყანაში მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები, სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტ. ნოვიკოვი. (საკდესი).

ოლიმპიადაზე მუშაობა გრძელდება

ფრანის მაკოთის ცენტრი, 13 მაისი. (საკდესი). კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ამთავრებენ დაგეგმილ ოპერაციებს „პროგრეს-9“ სატრანსპორტო ხომალდზე.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებებით, „სალუტ-6“-„სოიუზ-36“-„პროგრეს-9“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ПРОДУКЦИИ ХАРИСХИ САЗОГРУНАВИА

ХАРИСХИ РЕСПУБЛИКУРИ ДАЗОВЕНДЕЛИ ДАИМАРТА САЗАРТВЕЛОС САЗАРМОИТА МИЕРИ ГАМОШВЕНДЕБУЛИ САЗОФОРТОЕБУЛИ ПРОДУКЦИИС ХАРИСХИС ГАУМЯОБЕБИ ДА ХЕЛИТ ГАМОШВЕНДЕБУЛИ ПРОГРЕСИ ДАИМОСАХУРА САЗАРМОИТА

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინური ჭეშმარიტების ჟურნალი

გვაფრთხილებენ საკლესიო და ახალი ამბების საგანგებო კორესპონდენტები

გამოცდილება

რძის კონვეიერი ფერმაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, ცალკეულ მეურნეობებში ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას, პირუტყვის ჯაფობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, მისი პროდუქტიულობის და მასთან ერთად სულადობის ზრდას, რაც მთავარია ხაკვები ბაზის განმტკიცებას, ლვოვის ოლქის მეცხოველეებმა, ივლისის პლენუმის დადგენილების განხორციელებას რომ შეუდგნენ, მოკლე დროში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. ადგილზე გავეცანით მათს გამოცდილებას და ჩვენს მეცხოველეებს ვთავაზობთ მას.

ორი წლის წინათ ყოველ 100 ფურზე საშუალოდ ოლქში 90 ხბო მიიღეს. შარშანწინ — 93, შარშან — 95. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს წველადობაში. 1977 წელს ოლქში საშუალოდ ფურზე 2.930 კილოგრამი რძე მიიღეს, 1978 წელს — 3.045 კილოგრამი. შარშან კვლავ იმატა წველადობამ. ასეთ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ მერძეველობის კომპლექსში დანერგეს ახალი მეთოდი — უწყვეტი, ნაკადურ-საამქრული ტექნოლოგიით რძის წარმოება.

ლვოვის ოლქის კოლმეურნეობების გაერთიანებისა და ტექნოლოგიური განყოფილების სპეციალისტების, ლვოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობით, ოლქში არსებულ მეურნეობათა გამოცდილების შესწავლისა და ანალიზების საფუძველზე (ტექნოლოგიურად დამუშავებული ცდების შესაბამისად (მერძეველობის კომპლექსებში შეიმუშავეს მეურნეობების გაძღოლისა და ექსპლოატაციის ხერხები და მეთოდები — რძის მიღების უწყვეტი, ნაკადურ-საამქრული ტექნოლოგიის დასანერგავად. ეს მეთოდი, მეცხოველეობის პროდუქტების სამრეწველო წარმოების პირობებში მთლიანად შეესაბამება ცხოველთა ფიზიოლოგიურ და პროდუქტიულ თავისებურებას. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდუსტრიული მეთოდის დანერგვასთან ერთად შესაძლებელია გავითვალისწინოთ ცალკეული ფურების კვებისა და შენახვის ინდივიდუალური თვისებები, რაც მაქსიმალური პროდუქციის მიღების საწინდარია.

უწყვეტი, ნაკადურ-საამქრული ტექნოლოგიით რძის წარმოების ორგანიზაცია კომპლექსში ისეა მოწყობილი, რომ პირუტყვის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით იქმნება ფურების მოძრაობის კონვეიერი. ასეთი საამქრო მთლიან ნაკადში ოთხია:

პირველი მშრალი ფურების შენახვის საამქროა. აქ ფურები მოჰყავთ ხბოს მოგებამდე 60 დღით ადრე. ეს საამქრო ხბოს მოსაგებად ფურის მოსამზადებელი ადგილია. აქ, ფურმა უნდა დაისვენოს და მიიღოს საკვების ყველა ელემენტი, რომელიც ორგანიზმს ესაჭიროება. განსაკუთრებით საგულისხმოა და კარგად ვიცით ის გარემოება, რომ მაკი ფურის ორგანიზმში საბოლოოდ ნაყოფი ყალიბდება უკანასკნელ 100 დღეში. მოგების წინ 10-12 დღის განმავლობაში ნაყოფი ისე სწრაფად იზრდება, რომ დღეღამეში 800-1.000 გრამს მატულობს. ამიტომ ამ დროს საჭიროა ფურები ცილებითა და ნახშირწყლებით მდიდარი საზრდოთი ვკვებოთ, ამ საამქროში ფურებს დაუბმელად ინახავენ. ეზოში აქვთ გადახურული საკვებურები. საკვებს არიგებენ მობილური წესით, ზამთარში სადგომში ტემპერატურა პლუს 10 გრადუსია. 600-800 სულისათვის გათვალისწინებული მერძეველობის კომპლექსში ყოველთვის მოსალოდნელია იყოს 90-120 შრალი ფური. მშრალი ფურებს საამქროში ერთი მომვლელი ოპერატორი მუშაობს. დღეღამეში ერთ ფურს აძლევენ 8-9 საკვებ ერთეულს.

მეორე საამქრო სამშობიაროა. აქ ფურებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ ნორმალურად იმშობიაროონ. ამ საამქროში ფურებისათვის საჭირო ფარეხობი კომპლექსის 7-8 პროცენტია. სამშობიაროო გაყოფილია სამ სექციად: პირველ სექციაში ფურები მოგებამდე ჰყავთ; მეორე სექცია მოსაგებია; მესამეში კი ფურები მოგების შემდეგ გადაჰყავთ. სამშობიაროში ახლადმოგებულ ხბოს ფურთან 2 დღეს აჩერებენ. აქ ტემპერატურა 16 გრადუსია, პროფილაქტორიუმში — 20 გრადუსი. სამშობიაროში 55-70 სულზე მეტი არა ჰყავთ. ხბოს მოგების შემდეგ ფურს მანქანური წველის დაწყების წინ ყოველდღიურად ამოწმებენ, რომ პირუტყვს რაიმე მიზეზით არ დაემართოს კურის მასტიტი. თითო მწველავ ოპერატორს 18 ფური ჰყავს, პროფილაქტორიუმის ოპერატორს კი 35-40 — ხბო. 20 დღის შემდეგ ხბოები სპეციალურ გამოსაზრდელში გადაჰყავთ.

მესამე საამქრო განწველვის ანუ ყოველდღიურად ფურის პირუტყვის დათესლვის ადგილია. საამქროს მთავარი ამოცანაა დადგინოს თუ თითო ფური ინტენსიური კვების დროს დღეში რამდენს იწველის. ამასთან ერთად ხბოს მოგებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს ფურის ხელოვნური დათესლვა. ამ საამქროში ფურებს აჩერებენ 60-90 დღეს. საამქროში მათი რაოდენობა არ აღემატება 150-200 სულს. ელექტროწველის წინ პირუტყვს ყოველდღიურად ამოწმებენ, თუ რა მდგომარეობაშია აქვს კური, ხომ არ ავადდება კური მასტიტით, თუ განწველვის დროს ერთნაყოლი ფური ჯეროვნად პროდუქტიული არ არის და საშუალოზე ნაკლებს იწველის, მას იწუნებენ. გარდა ამისა, ფურის ყოველდღიური საშუალო ნაწველის ზუსტად განსაზღვრისათვის საჭიროა მოწველილი რძის ზუსტი აღრიცხვა. ამასთან დაკავშირებით საკონტროლო წველა უნდა ჩატარდეს 5 დღეში ერთხელ, კვიმიანობის პროცენტის დადგენისათვის კი თითოეული ფურის რძე თვეში ერთხელ უნდა შემოწმდეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ოპერატორს ინდივიდუალური მუშაობა უხდება თითოეულ ფურთან, მას მოსავლელად მიუჩენენ

გაბედულად დავნერგოთ ლვოვის ოლქის მეცხოველეთა გამოცდილება — რძის წარმოების გადიდების უწყვეტი, ნაკადური ტექნოლოგია

ხოლმე 20-25 ფური. ოპერატორს ხელფასი უნაზღაურდება მეექვსე ტარიფით.

მეოთხე საამქრო რძის წარმოებისაა. მისი ამოცანაა განწველვის დროს მიღწეული საშუალო წველადობა შენარჩუნებულ იქნეს და თავის დროზე მოხდეს ხბოს მოგებამდე ფურის გაშრობა. პირუტყვს კვებავენ თივით, სენაჟით და წვნიანი საკვებით. კილოგრამ რძეზე 250-300 გრამ კონცენტრირებულ საკვებს აძლევენ. საკონტროლო წველა თვეში ერთხელ ხდება, ხოლო ცურის შემოწმება მასტიტზე — ყოველდღიურად. ფურის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას ამოწმებს ვეტექიმი-გინეკოლოგი და ამის შემდეგ ხდება ფურის გაშრობა. თუ ფური იწველის დღეში 10 კილოგრამ რძეს, მისი გაშრობა ხდება 3-4 დღეში. შესაბამისად რაკიროდან იღებენ წვნიან და კონცენტრირებულ საკვებს. თუ ფური ხბოს მოგებამდე 15 კილოგრამ რძეს იწველის, მისი გაშრობა მიდინარეობს 6-10 დღის განმავლობაში.

ოთხივე საამქროში ფურებს ზოოვეტსპეციალისტები ყოველდღიურად აკონტროლებენ, რაც პროდუქტიულობის გადიდებას გადამწყვეტი ფაქტორია. ფურს ოთხივე საამქროში გავლისას მთლიანაზე, ზოგს დიაგნოზს უსვამენ. ამის შემდეგ შეიძლებელია პირუტყვი ბერწად დარჩეს.

უწყვეტი, საამქროული ტექნოლოგიით რძის წარმოების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯარ ზოოტექნიკურ აღრიცხვას. ზუსტი ზოოტექნიკური აღრიცხვის გარეშე შეიძლებელია ფურების ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით მათი გადაადგილება საამქროებში. თუ ზოოტექნიკური აღრიცხვა მაღალ დონეზე არ იქნება დაყენებული, მაშინ შეიძლებელია კომპლექსში სანაშენე-სელექციური მუშაობა. რძის წარმოების საამქროული მეთოდის, გამოყენების დროს სწორმა ზოოტექნიკურმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს: ფურების მაღალპროდუქტიულობა ლაქტაციის ყველა პერიოდში; ფურების დროული გადაადგილება საამქროებში; ტექნოლოგიური მოთხოვნების ზუსტი დაცვა ყველა საამქროში; ფურების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება; ორგანიზაცია და კონტროლი სულადობის გამრავლებისადმი; ყველის დონე და მისი ეფექტიანობა; ვეტერინარული ტექნოლოგიის ზუსტი დაცვა იმისათვის, რომ მაღალკვალიფიციური და კონკურენტული ზეგავლენა მოახდეს ტექნოლოგიურ პროცესზე, რომელიც საამქროებში მიმდინარეობს. კომპლექსში ამ ფუნქციას ასრულებს სადასპეტჩერო ზოოტექნიკური სამსახური, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს დაკისრებული საამქროული წესით რძის წარმოების ტექნოლოგიის ზუსტ დაცვაში.

ზოოტექნიკური სადასპეტჩერო სამსახური ყველა ზოოტექნიკურ მონაცემს აზუსტებს; ეს არის: ფურების სულადობის, გამრავლებისა და ხბოების გამოზრდის, ზოოტექნიკური აღრიცხვის ფორმები (ფორმა № 2, ფორმა № 3, ფორმა № 4, ფორმა № 6, ფორმა № 7). ჯარდა ამისა სადასპეტჩერო სამსახურში ძირითადი აღრიცხვის ფორმა ფურების ინდივიდუალური საყოველთაო ბარათია. ამ ფორმაში სადასპეტჩერო სამსახური აწარმოებს აღრიცხვას. ეს არის ფურის მოსალოდნელი მოგება და მისი გაშრობა, გადაყვანა საამქროდან საამქროში, ხბოს მოგება და ფურის ხელმეორედ დათესლვა, ცოცხალი წონა, ლაქტაციის პერიოდში, ფურის პროდუქტიულობა.

ბარათის მიერ გვერდზე ვეტსპეციალისტებს შეიქმნა შემდეგი მონაცემები: ფურის კლინიკური და ფიზიოლოგიური მდგომარეობა, სხვადასხვა დროს დაავადება, მასტიტის გამოკვლევის შედეგები და სხვ. განწველის (საშუალო წველადობის დადგენა) სწორად მოწყობის და ეფექტიანობის მიზნით საამქროში აქვთ ინდივიდუალური განწველის საყოველთაო ბარათი, სადაც შეიქმნა განწველის ეფექტიანობის შედეგები, მისი ხანგრძლივობა, ყველაზე მაღალი წველის პერიოდი, საკონტროლო წველის შედეგები, კონცენტრირებული საკვების ხარჯვა და სხვ. მერძეველობის კომპლექსში 600-800 ფურზე უწყვეტი საამქროული ტექნოლოგიით რძის წარმოების დროს ოთხივე საამქროს ხელმძღვანელობს კომპლექსის უფროსი — ო�oვი მთავარი ტექნოლოგი. მას ემორჩილება სადასპეტჩერო სამსახურის უფროსი ზოოტექნიკოს-სელექციონერი, მთავარი ვეტექიმი და მათი სამსახურები.

ოლქში შექმნილია საკვების მყარი ბაზა, გადაწყვეტილია უხეში და წვნიანი საკვების წარმოების საკითხი. ერთ ფურზე შარშან 4 ტონა სიმინდის სილოსი, 2 ტონა საკვები ჭარხალი, 3 ტონა შაქრის ჭარხლის ფოთლის სილოსი, 3 ტონა სენაჟი, 1,5 ტონა თივა დაამზადეს (ოლქი შაქრის ჭარხლის მწარმოებელია და ნედლი და მშრალი ციყო ბევრი აქვთ. შაქრის ჭარხლის ფოთოლს ბირველ რიგში მანქანით იღებენ, შემდეგ მიმდინარეობს მისი დასილოსება. ამის შემდეგ ხდება ჭარხლის მოწიდან ამოღება).

ჩვენს რესპუბლიკაში ასპის, ბორის, ქარელის, ხაშურის, ზნაურის, ცხინვალის რაიონები შაქრის ჭარხლის ეუხვად ამზადებენ, მაგრამ არ იყენებენ ფოთოლს. ეს დიდი რეზერვი გამოიყენებელი რჩება. ლვოვის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ წვნიან საკვებს, ამიტომაც არის, რომ იქ საშუალო წველადობა ძალზე დიდია.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ლვოველ მეცხოველეთა გამოცდილების დანერგვით მკვეთრ გარღვევას მიაღწევენ. ეს დიდი რეზერვი იქნება რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით ლვოვის ოლქის მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება სართაშორისოა და თელეთის ექსპერიმენტულ მერძეველობის კომპლექსებში უნდა დანერგოს. იქ მუშაობა უკვე დაწყებულია. რესპუბლიკაში უკვე მუშაობს 21 მერძეველობის კომპლექსი, საჭიროა მათმა დირექტორებმა, ზოოვეტსპეციალისტებმა გულისყურით შეისწავლონ რძის წარმოების გადიდების ლვოველთა მეთოდი და დანერგონ წარმოებაში. ამ კარგი გამოცდილებისადმი სერიოზული მიდგომა დიდად შეიწყობს ხელს რესპუბლიკაში მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს.

ზ. მირზიაშვილი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს მერძეველობის კომპლექსი.

როცა გვერდით დამრიგებელია...



ვინ არ იცის რესპუბლიკაში წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წარჩინებული მწველავის, სოციალისტური შრომის გმირის ზაირა ალხანიშვილის წარმატებების ამბავი? აი უკვე მეოთხედი საუკუნეა შრომობს იგი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, წლითიწლობით ახალ-ახალ მიჯნებს აღწევს. ახლა ზაირა 25 ძრობას უვლის. შარშან ზ. ალხანიშვილმა თბთოეული ძრობაზე 4.040 კილოგრამი რძე მიიღო, ვეგმა კი 3.700 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ახლა გმირის გვერდით შრომობენ ახალგაზრდები, რომლებსაც ზაირა თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებს. ანა ბიჩელაშვილმა სულ რაღაც ერთი წლის წინათ, სკოლის დამთავრების შემდეგ აირჩია მწველავის პროფესია. მაგრამ როცა გვერდით ისეთი დამრიგებელი ჰყავს, როგორიც ზაირაა, სწრაფად შეიძლება შრომის მოწინავე მეთოდებს დაეუფლო.

სურათებზე: კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები, სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი (მარჯვნივ) და ანა ბიჩელაშვილი; შავგრელი ძროხები საგაზაფხულო საძოვრებზე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინური ჭეშმარიტების ჟურნალი

ბაბრაქ ქარმალის გამოსვლა

ქაბული, 13 მაისი. აქ გამოქვეყნდა ქაბულში გამართულ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრთა ქალაქისა და პროვინციის აქტივის კრებაზე ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ბაბრაქ ქარმალის გამოსვლა. გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაეთმო ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ ი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგებს, მისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს. ბაბრაქ ქარმალმა აღნიშნა აპრილის რევოლუციის მეორე ეტაპისა და პარტიის ერთიანობის განმტკიცების, მისი წევრების იდეოლოგიური და პოლიტიკური დონის ამაღლების, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების აქტუალური ამოცანების გადაჭრის დიდი მნიშვნელობა.

ბუნებრივია, აღნიშნა ბაბრაქ ქარმალმა, რომ აპრილის რევოლუციის ახალი ეტაპის დაწყება და მისი შემდგომი განვითარება გავლენას მოახდენს ჩვენს პარტიაზე. შექმნილი პირობები მოითხოვს მივაღწიოთ პარტიის რეალურ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ ერთიანობას და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრთა მუდმივ დარაზმულობას ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს გარშემო.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაწერილებით ილაპარაკა პლენუმის მიერ დამტკიცებული პარტიის წესდების მნიშვნელობაზე. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ წესდება ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიას მიიჩნევს ახალი ტიპის პარტიად, რომლის მოღვაწეობა რევოლუციურ თეორიას ემყარება.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრებმა, თქვა ბაბრაქ ქარმალმა, უნდა იბრძოლონ ფრაქციულობის, შოვინიზმის, ნაციონალიზმის, ინტერესთა შეზღუდულობის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, „შეგარცხენენ“ და მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და სუბიექტივიზმის წინააღმდეგ. მათ უნდა იბრძოლონ აგრეთვე ცილისმწამებლური პროპაგანდის, ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ, პარტიის შიგნით ყოველგვარი პროვოკაციების წინააღმდეგ.

არჩევნების შედეგები

ბონი. აქ გამოცახადეს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ლანდტაგის არჩევნების შედეგების წინასწარი ოფიციალური მონაცემები.

არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ. ამ პარტიამ ვერ შეძლო მიეღო ამომრჩეველთა ხმების საარჩევნო კანონით გათვალისწინებული მინიმალური რაოდენობა — ხუთი პროცენტი და ამიტომ 60-იანი წლების დამდეგიდან პირველად წარმოდგენილი არ იქნება ამ მხარის ლანდტაგის ახალ შემადგენლობაში.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ მ კავშირმა მიიღო ხმების 43,2 პროცენტი, ესე იგი 3,8 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1975 წლის წინა არჩევნებზე. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ გ. კოლმა არჩევნების ეს შედეგები შეაფასა როგორც „მძიმე დამარცხება“. „ეს ლავარია მთელი პარტიისათვის“, — თქვა მან.

არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. მან მიიღო ხმების 48,4 პროცენტი, ე. ი. 3,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 5 წლის წინათ. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის პარლამენტში ადგილები შემდეგნაირად განაწილდება: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია 106, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — 95.

ამგვარად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ლანდტაგში. ეს სოციალ-დემოკრატებს უფლებას ანიჭებს შექმნან ახალი ეროპიროვნული მთავრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდეს მხარეში, სადაც ქვეყნის მთელი ამომრჩევლების თითქმის ერთი მესამედი ცხოვრობს.

მდგომარეობა უგანდაში

პარიზი, 13 მაისი. როგორც უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები უგანდის დედაქალაქ კამპალადან იუწყებიან, მდგომარეობას ქვეყანაში კონტროლს უწევენ სამხედროები, რომლებიც პრეზიდენტ გოდფრი ბინაისის წინააღმდეგ გამოდიან, უგანდის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის სამხედრო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ კომიტეტი „შეიარაღებული ძალების სარდლობის კოლეგიური ორგანოა, და კვლავ კონტროლს გაუწევს მდგომარეობას ქვეყანაში „წესრიგის დამყარებამდე“.

ვითარება უგანდაში მას შემდეგ გაფუჭდა, რაც შაბათს პრეზიდენტმა გ. ბინაისმა პოსტიდან გადაადგა უგანდის არმიის სამხედრო შტაბის უფროსი პოლკოვნიკი დევიდ ოიტე ოჯოკი. ამ გადაწყვეტილებამ სამხედროების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შეიარაღებულმა ნაწილებმა დედაქალაქში ხელთ იგდეს მთელი რიგი საკვანძო პუნქტები, მათ შორის რადიოსადგური, ტელეგრაფტრი, აგრეთვე საცხოვრებელი კომპლექსი, სადაც მთავრობის წევრთა უმრავლესობა ცხოვრობს. უგანდის რადიოთი გავრცელებული განცხადება შეიცავს სამხედროების უარს ცნონ დ. ო. ოჯოკის გადაყენება.

სააგენტო აღნიშნავს, რომ დ. ო. ოჯოკი ცნობილია როგორც აქტიური მომხრე უგანდის ყოფილი პრეზიდენტის მილტონ ობოტესი, რომელიც ამჟამად ემიგრაციაშია.

ვაშინგტონი, 13 მაისი. შეერთებული შტატები სულ უფრო ამძაფრებს

ირანის ამბების გამო

სამარ ისტერიას ირანის გარშემო. სენატის გაერთიანი კომისიის — შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის წევრმა სენატორმა გ. ჰარტმა მოითხოვა დაანაჩარონ ახალი სამხედრო ოპერაცია ირანიდან ამერიკელი „დიპლომატების“ დასახსნელად. ტელეკომპანია „სიბი-ესის“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში სენატორი ამტკიცებდა: ამერიკელ კომანდოსთა დივერსიანური აქცია უნდა განმეორდეს, თუმცა მისი წარმატების შანსი ახლა ნაკლებია, რისკი კი მეტი. ჰარტმა საკმაოდ ვასაგებად მოსთხოვა ამერიკის მოკავშირეებს, რომლებსაც „შეერთებული შტატები ეკონომიკურად ეხმარება და იცავს სამხედრო თვალსაზრისით“ მხარი დაუჭირონ ირანის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკურ სანქციებს.

ინგლისის გაზეთ „ობსერვერის“ ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა კ. ლეგემმა მკითხველებს აუწყა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას განზრახული აქვს შექმნას ამერიკის სამხედრო ბაზების მთელი ქსელი ახლო და შუა აღმოსავლეთსა და მის ახლომახლო რაიონებში, აგრეთვე დაამკვიდროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა ინდოეთის ოკეანეში, მიწამყურ ზღვასა და სპარსეთის ყურეში. ვაშინგტონის აგრესიულ გეგმებში ძირითადი ადგილი ეთმობა ეგვიპტეს, სადაც შტაბი ექნება ამერიკის შეერთებული შტატების ახალგამოჩეკილ საჟანდარმო ძალებს, რომლებსაც „ელვისებური დარტყმელი ოპერაციების“ მოსაწყობად გამოიყენებენ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები შეიქმნება კენიასა და სომალში, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები ინდოეთის ოკეანის დიეგო-გარსიას კუნძულზე. აქ უნდა განალაგონ „ბ-52“ ტიპის მძლავრი ბომბდამშენები, აგრეთვე 4.500 ამერიკელი ჯარისკაცი. „ელვისებური დარტყმელი ოპერაციების“ გეგმები, წერს გაზეთი „ობსერვერი“, ითვალსწინებს ახლო და შუა აღმოსავლეთის „ცხელ წერტილებში“ 50 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცის სწრაფ გადაყვანას.

სან-ფრანცისკო. ირანის მიმართ უხეში შანტაჟისა და ზემოქმედების კამპანიას, რომელსაც სულ უფრო ამწვავებს კარტერის ადმინისტრაცია, აგრეთვე ამერიკა-ირანის კრიზისის „გადაწყვეტად“ სამხედრო ძალას გამოყენების მუქარას გულისწყრომით გმობს ამერიკის საზოგადოებრიობა. „ჩვენ გვინდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კარგი მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეს ირანის ახალ მთავრობასთან, რომელსაც მხარს უჭერს ირანელი ხალხის უმრავლესობა, — ნათქვამია „შვიდობისათვის მებრძოლ ქალთა“ ორგანიზაციის განცხადებაში, — ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ სამხედრო ინტერვენციას, რომელიც საფრთხეში აგდებს არა მარტო მძევლების, არამედ ათასობით ირანელის სიცოცხლესაც“.



მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევს მუქარისა და შანტაჟის კამპანია, რომელიც კუბის წინააღმდეგ წამოიწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. კეთილი ნების ადამიანები კიცხავენ ვაშინგტონს, რომელმაც თავისუფლების კუნძულის მახლობლად კარიბის ზღვაში დაიწყო სამხედრო მანევრები სახელწოდებით „სოლიდ შილდ-80“. (გაზეთებიდან).

გულხარგ ზვიგენთა ამაო მუქარა.

გ. ლომბიძის ნახატი.

საპარლამენტთაშორისო კონფერენცია

ბრიუსელი. ბელგიის დედაქალაქში გაიხსნა ევროპის ქვეყნების თანამშრომლობისა და უშიშროების IV საპარლამენტთაშორისო კონფერენცია. მას ესწრებიან ჰელსინკის სრულიად ევროპის თანბირის მონაწილე ქვეყნების პარლამენტართა დელეგაციები, აგრეთვე მეთვალყურენი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების პარლამენტებისაგან. კონფერენციის მონაწილეთა შორის არის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ვ. პ. რუბენი.

საზოგადოებრივი სტუმრებს მიესალმა ბელგიის პრემიერ-მინისტრი ვ. მარტენსი. კონფერენციის ფასსნის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან პარლამენტარებს მოუწოდა აქტიურად შეიწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის და ხალხთა თანამშრომლობის გაღრმავებისა და სტაბილიზაციის ეზების ძიებას.

ვინ ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 13 მაისი. „ვაშინგტონელი მებრძოლი“ — ასე დაასათაურა გაზეთმა „ნიუსდეიმ“ თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის ჯ. კლურფელდის სტატია ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ზ. ბეზეზინსკის შესახებ. მაგრამ მისი შინაარსი ყოველგვარ საფუძველს გვაძლევს ამ სტატიის გმირს უფრო გარკვევით ვუწოდოთ: „ვაშინგტონელი ომის გამჩაღებელი“.

თეთრ სახლში ბ. ბეზეზინსკის კაბინეტის წინგნის თაროზე, ნათქვამია სტატიაში, საკონტინენტთაშორისო რაკეტების მაკეტების გვერდით მოჩანს შავი პლასტმასისაგან გაკეთებული პატარა ფიგურა მახვილით ხელში — ომის ბორტი ღმერთი ჰოლივუდის გახმაურებული კინოსურათიდან. ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე ვაშინგტონში ბევრს წარმოდგენილი ჰყავს კარტერის ადმინისტრაციის ერთგვარ ომის სიმბოლოდ, წერს „ნიუსდეი“. სწორედ ბეზეზინსკი იყო, რომ მომდინარე წლის ზამთარში გაემგზავრა ჰაიბერის უღელტეხილზე პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე, ხელში აიღო შაშხანა და მიმართა იგი ავღანეთისაკენ. სწორედ ბეზეზინსკიმ თავის ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბირთვული ომი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ ნიშნავს ცივილიზაციის დასასრულს და თუ ვინმე საწინააღმდეგოს ამტკიცებს, „სისულელეს როშავსო“.

ხელისუფლების სათავეში კარტერის მთავრობის ყოფნის დაწყებიდანვე, წერს „ნიუსდეი“, ბეზეზინსკის მიაჩნდა, რომ მისი მისიაა უფრო აგრესიული გახადოს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკა. სინამდვილეში ამას მოჰყვა ის, რომ როგორც სტატიიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში იგი გახდა ყოველი საერთაშორისო პრობლემის სამხედრო საშუალებებით გადაჭრის მთავარი მომხრე.

„ძალა იმისათვის არსებობს, რომ გამოიყენონთ, — ამბობს ბეზეზინსკი — იგი უნდა გამოიყენონთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ასე უმერდა ბეი მხარს სამხედრო გადატრიალებას ირანში შაჰის ტახტის გადასარჩენად (1953 წელს ცენტრალური საადაზვერვო სამმართველოს დახმარებით მოსაღიყის მთავრობის დამხობის შაგალითისამებრ — საკადესის შენიშვნა). იგი მოითხოვდა ამერიკის სამხედრო ჩარევას ზაირის შაბის პროვინციის ამბებში. მან ამ ორიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლო თავისი გაეტანა, მაგრამ ამ ბოლო დროს მისი შეხედულებები იმარჯვებს, წერს გაზეთი. მთავრობის მაღალი თანამდებობის პირთა სიტყვით, ბეზეზინსკი ყველაზე თავგამოდებული მომხრე იყო ირანში ამერიკელი მძევლების გადარჩენის ცდისა, რომელიც სამარცხვინოდ ჩაიშალა, და ახლა მხარს უჭერს ამ ცდის განმეორებას.

ეხება რა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის პოზიციას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტიდან ს. ვენსის გადადგომის შემდეგ, „ნიუსდეი“ წერს: არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი შეინარჩუნებს თავის მნიშვნელოვან გავლენას პრეზიდენტ კარტერზე. ფიქრობენ აგრეთვე, რომ იგი აუცილებლად წაეკიდება ახალ სახელმწიფო მდივანს ე. მასკის და, ბოლოს, საქმე ნამდვილ კონფლიქტამდე მიგა.

ვაშინგტონი. ამერიკის გაზეთები აქვეყნებენ ე. მასკის გამონათქვამებს ომის შესახებ, თუ როგორ ესმის მას სახელმწიფო მდივნის როლი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

მიმაჩნია, განაცხადა ე. მასკიმ, რომ ჩემი პირველი რიგის ამოცანებია:

პირველი, სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტის მთავარი მრჩეველია საგარეო პოლიტიკის საკითხებში, და ეს მისი ყველაზე ზნეობრივ-ეთიკურ ბრალდებულ ნაწილია. ეროვნული ხალხის უმრავლესობა, — ნათქვამია „შვიდობისათვის მებრძოლ ქალთა“ ორგანიზაციის განცხადებაში, — ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ სამხედრო ინტერვენციას, რომელიც საფრთხეში აგდებს არა მარტო მძევლების, არამედ ათასობით ირანელის სიცოცხლესაც“.

რა ესაქმეგათ სხვის ტერიტორიაზე?

ტოკიო, 13 მაისი. იაპონიამ და სამხრეთ კორეამ ნავთობის საძიებელი ჰაბურღილის გაყვანა დაიწყეს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში კორეის ნახევარკუნძულის შელფზე.

ჯერ კიდევ 1974 წლის იანვარში იაპონიის მთავრობამ საერთა

ერის ზუგდიდში ასეთი სასწავლებელი

ქალაქის გარეუბანში, მდინარე ჩხოუშის ნაპირას აღმართულია ზუგდიდის 62-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მრავალსართულიანი კოხტა სასტუმრო, მოსწავლეთა საცხოვრებელი სახლები, სასწავლო სახელოსნოები, სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობანი. აქ ახალგაზრდები იღებენ საშუალო განათლებას და ეუფლებიან მუშის სხვადასხვაგვარ სპეციალობებს.

ზრდილება და ფრთას შლის ქალაქი ზუგდიდი. მაღალკვალიფიკაციური მუშათა კადრები მოითხოვა ენგელჰარდსის უნიკალურმა მშენებლობამ, ენერგიის ელექტროლიზის და ქიმიური კომბინატმა, ფაიფურის ქარხნის მშენებლობამ და ქალაქში განლაგებულმა სამშენებლო-სამონტაჟო ობიექტებმა. 1970 წლიდან ქალაქის № 62-ე ტექნიკური სასწავლებელი გადაეთვალა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად. იგი საბჭოთა კავშირის გმირის ა. ბუკიას სახელობისაა.

დასაკუთრებული მუშაობაა გაწეული სასწავლებელში (დირექტორი — ტ. მალაშხია) 1979 წლის ივლისიდან: კეთილმოეწყო ეზო, მიმდინარეობს ახალი ობიექტების მშენებლობა.

დღეს სასწავლებელში 569 მოსწავლის დოსტატებს ემსახურება ასამდე პედაგოგი, ინჟინერი, საშუალო სპეციალური განათლების მქონე საწარმოო სწავლების ოსტატი და კულტურის მუშაკი. ამჟამად სასწავლებელი ამზადებს შვიდი პროფესიის თანრიგოსან მღებავ-მშენებლებს, კომსტრუქციების მემონტაჟეებს, მლესავ-მეფისტალეტებს, ფურგალ-მშენებლებს, ზეინკალ-სანტექნიკოსებს და სხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციურ მუშებს. ახალი სასწავლო წლიდან ქალაქის მშენებარე ახალი საწარმოსათვის სასწავლებელი მიებაგისა და ხარატის სპეციალობით დამატებით მოამზადებს ორ ჯგუფს (60 მოსწავლე).

მარშან სასწავლებელი დამთავრა 270 მუშა-სპეციალისტმა. ისინი დასაქმებული არიან და საარაგებლო შრომას ეწევიან. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი მუშაობს გაგრისა და მოსკოვის „ოლიმპიადა-80“-ის ობიექტების მშენებლობებზე.

წლეულს საწარმოო პრაქტიკაზე სასწავლებელმა უნდა შეასრულოს 32 ათასი მანეთის სამუშაოები, მაგრამ პირველ კვარტალში დაგეგმილი 6 ათასი მანეთის სამუშაოები არ შესრულებულა, მდგომარეობა დღესაც არ გამოსწორებულა. როგორც აქ გვითხრეს, საწარმოო სწავლების საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა იმის ბრალია, რომ სამშენებლო ობიექტების ხელმძღვანელები სასწავლო-საწარმოო პრაქტიკაზე მიღებულ მოსწავლეებს პროფილის მიხედვით არ იყენებენ, რაც მოსწავლეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. მოსწავლეთა ეს გულისტკივილი ყურად უნდა იღონ სამშენებლო ორგანიზაციებმა.

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეფობს ამ სასწავლებელს, თავის მხრივ, სასწავლებლის მოსწავლეთა სამშენებლო რაზმი 30 მოსწავლის შემადგენლობით მესამე შრომითის სემესტრში იმუშავებს უნივერსიტეტის მშენებარე ობიექტებზე.

სასწავლებელს ყოველმხრივ ეხმარებიან ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი (დირექტორი — ო. ფაცაცია), ენგურჰესის მშენებლობის კასკადის დირექცია (უფროსი — ხ. შელია), საბაზო ორგანიზაცია — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო (უფროსი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ციხაკაძე).

სასწავლებლისათვის შეფების ყოველდღიური ზრუნვა და დახმარება მის კოლექტივს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მუშაობაში.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დედამდინარე

ენციკლოპედია

წყლის შესახებ

ცნობილია, რომ უხსოვარი დროიდან ადამიანი მდინარის ხეობას ირჩევს საცხოვრებლად, რადგან წყალს სიცოცხლის საწყისად მიიჩნევს და, ასე განსაჯეთ, მთელ რიგ მდინარეებს დედამდინარეს უწოდებს. კაცობრიობის განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს წყლის შესწავლა და მისი სამეურნეო გამოყენებაც.

საქართველოში წყლის რეჟიმზე სისტემატური სტაციონარული დაკვირვება დაიწყო თბილისში 1904 წლიდან, ხოლო 1929 წლის შემდეგ, როცა ჰიდრომეტეოროლოგიის ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდა, რესპუბლიკის შედარებით პატარა ტერიტორია ჰიდროლოგიური საგუშაგოებით ხშირი ქსელით დაიფარა. დღეისათვის 158 ჰიდროლოგიური საგუშაგო სწავლობს 91 მდინარის, 11 ტბისა და წყალსაცავის წყლის რეჟიმს.

უკანასკნელ წლებში ბევრი იწერება და საგანგაშო ცნობებიც კი ქვეყნდება წყლის უყაირათო ხარჯვისა და მისი რესურსების შემცირების თაობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მზარდმა ტემპმა და მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გააძლიერა მოთხოვნილება წყალზე. დადგენილია, რომ ჩვენს ქალაქს, სადაც მოსახლეობის რაოდენობამ მილიონს გადაჭარბა, დღე-ღამეში საშუალოდ 0,5 მილიონი კუბური მეტრი წყალი სჭირდება. ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ შუდმივია თუ არა წყლის რესურსები? სამყოფად ექნებათ თუ არა იგი მომავალ თაობებს?

ჰიდროლოგიურმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ მტკნარი წყალი, როგორც ბუნებრივი რესურსი, უსეფი არ არის. მოსახლეობის ზრდამ და სახალხო მეურნეობის განვითარებამ დაგვაყენა მტკნარი წყლის უკმარისობის საშიშროების წინაშე. ეს პრობლემაა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. 2000 წლისათვის კაცობრიობის წინაშე გამოიჭრება დაახლოებით 6 მილიარდი ადამიანის გამოკვების და მტკნარი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, სადაც მდინარეები და წყლის ობიექტები ინტენსიურად ჭუჭყიანდება, ვინაიდან მოხმარებული წყლების 50 პროცენტი მდინარეებს, ზღვებს და ოკეანეებს უბრუნდება გაჭუჭყიანებული სახით.

საქართველოში განსაკუთრებით ჭუჭყიანია მდინარე მტკვარი ქალაქის ფარგლებში. მდინარე ვერე და მდინარე ენგურის ქვედა წელი, სადაც საკმაოდ ცოტაა ადამიანი. ნავთობის ნაერთებით არის გაჭუჭყიანებული მდინარეები კობულეთი, ბარცხანა, ოგასკურა, მდინარეთა გაჭუჭყიანება კიდევ უფრო ართულებს წყლის პრობლემას რესპუბლიკაში. ამიტომ ყოველი მოქალაქის ვალია გაუფრთხილდეს წყალს, არ დაბარჯოს იგი უყაირათოდ, რესპუბლიკის იმ უწყებებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებს, რომლებსაც ეხებათ წყლის პრობლემის მოგვარება, მოეთხოვებათ მისი სწორი აღრიცხვა, რეჟიმის ზუსტი შესწავლა და წყლის მოხმარებისადმი კონტროლის გაძლიერება.

ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ჰიდროლოგებს, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის წყლების რეჟიმის შესწავლა. რეჟიმის მახასიათებელი სიდიდეები თავს იყრის კადასტრის (წყლის რესურსების სისტემატიზებული თავმოყრა), სხვადასხვა სერიაში.

„წყლის სახელმწიფო კადასტრი“ წინათ არსებულ წყლის კადასტრებისგან განსხვავებთ, ზედაპირული წყლების გარდა, ერთიანებს მიწისქვეშა და ზღვის წყლებზე დაკვირვების მასალებს. წყლის სახელმწიფო კადასტრში პირველად არის შეტანილი დახარჯული წყლის ოდენობა რესპუბლიკის მასშტაბით, კალაპოტის ბალასნები და წყლის რესურსები, ვინაიდან წყლის სახელმწიფო კადასტრის შედგენა და მისი მოხმარება ტრადიციული მეთოდებით — ხელით დამუშავება, ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისათვის პერიოდულ პუბლიკაციით აღარ აკმაყოფილებს თანამდროვე ეტაპზე მომხმარებელს, „წყლის სახელმწიფო კადასტრი“ ითვალისწინებს ავტომატიზებული სისტემის დანერგვას, რაც ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებული სიდიდეების პერფორაციას და შემდეგ გამომთვლელი მანქანების დახმარებით მონაცემების ბანკის შექმნას და კადასტრის მანქანური წესით გამოქვეყნებას ახლო მომავალში.

აღნიშნულ კადასტრში თავმოყრილი მასალა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში შექმნილი წყლის პრობლემის გადაჭრას. ის იქნება თავისებური ავტომატიზებული ენციკლოპედია წყლის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად გააადვილებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ოპერატიულ მომსახურებას და წყლის რაციონალურ ხარჯვას.

ე. ზულიაშვილი,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს წყლის კადასტრის და ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსი.

ვულოცავთ ლაურეატებს!

საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულნი

საქართველოს კამერული ორკესტრის სიმებიანმა კვარტეტმა ვიენაში ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ვიენაში ორ ქალაქ ეკიანში. ქართველმა მუსიკოსებმა ლევან ჩხეიძემ, ვიო ნინოშვილმა, რევაზ მაჩაბელმა და არჩილ ხარაძემ მეორე ადგილი და „გრან-პრი“ დაიმსახურეს. ამ შემოქმედებითს ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების თერთმეტი ახალგაზრდული კვარტეტი. ეიფორის წევრთა ერთსულოვანი ღიღინებით, ქართულმა კვარტეტმა ყურადღება მიიპყრო სტილის ფაქიზი გრძნობით, ავტორის ჩანაფიქრის წვდომით, ჩინებული შესრულებით.

მსმენელებმა და მუსიკალურმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სახალხო არტისტის სულხან ცინცაძის მეცხრე კვარტეტს, რომელიც ავტორმა დმიტრი შოსტაკოვიჩის ხსოვნას მიუძღვნა.

საქართველოს კამერული ორკესტრის სიმებიანი კვარტეტი განაგრძობს თავის ტურნეს საზღვარგარეთ — ახლა იგი მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ვეცლარში მიმდინარეობს. (საქინფორმი).

● 14 მაისი, 1980 წ. ●

ღვინი, რიგი და ჩვენ

საზოგადოებისა და კანონის რისხვა ქურდებს

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე

საქმაოდ რთული ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში გარკვეულად გამოიწვია იმან, რომ ბოლო წლებში ძალზე გახშირდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა.

რესპუბლიკის მშრომელები, მთელი საზოგადოებრიობა, რომლებიც დიდი შემოქმედებითი შრომის ფერხულში არიან ჩაბმული მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების გადასაწყვეტად, სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამენ ქურდების, მძარცველების და სხვა ბოროტმოქმედთა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ მათს ქონებრივ ინტერესებს და სიმშვიდეს, საფრთხეს უქმნიან მათს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ამ გარემოებამ დიდი საზრუნავი გაუჩინა სამართალდამცველ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურას, რომლებმაც ბოლო ხანებში არაერთი ქმედითი ღონისძიება განახორციელეს ქურდობასთან ბრძოლის გაქტიურებისთვის.

წელს სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები იყვნენ ადგილებზე, ცალკეულ რეგიონებში, სადაც ქურდობასთან ბრძოლა არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული, ჩაატარეს ოპერატიული თათბირები პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს მუშაკთა მონაწილეობით. ამ თათბირებზე გაიმართა მწვავე მსჯელობა ქურდობასთან საყოველთაო და უკომპრომისო ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე. ისინი აღგილებზე ასევე შეხვდნენ მშრომელებს, მოისმინეს მათი წინადადებები და სურვილები ამ სამარცხვინო მოვლენასთან ბრძოლის გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის პროკურატურამ შარშან და წელს არაერთგზის შეისწავლა ქურდობასთან ბრძოლის სხვადასხვა ასპექტი, შეიმუშავა და განახორციელა კონკრეტული ღონისძიებანი.

ქურდების მიმართ მშრომელი ადამიანების ზიზღი და პროტესტი წითელ ზოლად დაესვა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის მთელ მსვლელობას, რომელიც ამას წინათ გაიმართა რესპუბლიკის პროკურორის ა. ბარაბაძის თავმჯდომარეობით. განხილულ იქნა საკითხი რესპუბლიკაში ქურდობასთან ბრძოლის ორგანიზაციისადმი საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის შესწავლა-განზოგადების შედეგების შესახებ.

ამ საკითხის განხილვაში, მონაწილეთა გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა სერიოზული შეშფოთება ამ დანაშაულის გავრცელების გამო, ასევე მასთან ბრძოლის ახალი გზების, მუშაობის უფრო რაციონალური მეთოდების და ფორმების ძიება, თუ როგორ შეიძლება უმოკლეს დროში მიღწეულ იქნეს ქურდობის მკვეთრი შემცირება, მის ხელშემწყობ გარემოებათა აღკვეთა, ყოველი ქურდის გამოცხადება საზოგადოების ხორცმეტად, მათ მიმართ საზოგადოებრივი ბოიკოტის ვითარების შექმნა.

ამ საკითხის შესწავლისა და კოლეგიაზე მისი შედეგების განხილვის უმთავრესი მიზანი იყო მოურიდებელი მხილება ყველა იმ ნაღლისა და დაკისრებული მოვალეობის შესრულების ადმინუპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ ღრმად გაანალიზა საქმის რეალური მდგომარეობა, ამ სფეროში საპროკურორო ზედამხედველობა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ უბანზე სერიოზული ნაკლოვანებანი პროკურატურის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგიც არის.

ის გარემოება, რომ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, საგანგებო ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას მოითხოვს. მთელი პასუხისმგებლობა ამ უბანზე შექმნილი არასახარბიელო ვითარებისათვის ეკისრებათ, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურას, რომლებმაც ყველაფერი როდი გააკეთეს რესპუბლიკაში ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ ზემდგომი ორგანოების დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის.

როგორც აღნიშნული კატეგორიის საქმეთა არაერთგზის შესწავლით ირკვევა, ქურდობის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ნაკლოვანებანი მუქთახორობასთან, რეციდიულ დამნაშავეობასთან და ლოთობასთან ბრძოლაში. პარაზიტულ ცხოვრებას, ჩვეულებრივ, თან სდევს ქურდობა, ლოთობა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მანკიერებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ სუსტად ვებრძვით, ამით აიხსნება, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობისათვის მსჯავრდადებულთაგან ყოველი მეხუთე დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ სწავლობდა და არ მუშაობდა. დამნაშავეთა შორის ამ პირთა ხვედრითი წილი ყოველწლიურად მატულობს. მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის ნასამართლევ პირთა შორის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ყოველი მესამე არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ქურდობის გავრცელების მთავარი მიზეზია მასთან ბრძოლის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ოპერატიულ-ერებლები, რის შესახებაც საწარმოს ადმინისტრაციამ აცნობა მილიციის რაიგანყოფილებას, მიუხედავად იმისა, რომ მილიციის მუშაკებმა შემოხვევის ადგილზე მივიდნენ, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრეს, დანაშავეთა დასადგენად არაფერი იღონეს.

ქურდობასთან ეფექტიან ბრძოლას მნიშვნელოვანწილად უშლის ხელს ზოგიერთი მილიციის ორგანოს ცუდი მუშაობა ამ დანაშაულობათა გახსნისათვის, და შესაბამისი პროკურორების ზერელე, არაკვალიფიციური ზედამხედველობა, ასევე სასამართლო ორგანოების მიერ ქურდების ლმობიერად დასჯის არცთუ ისე იშვიათი შემთხვევები.

კოლეგიის მასალებში ბლომად არის ამ კატეგორიის დანაშაულობათა მიჩქმალვის, არაკვალიფიციური მოკვლევისა და გამძიდების, სასამართლო ორგანთა ლმობიერების მიუტევებელი ფაქტები. მაგალითად, ქ. რუსთავში მოქალაქე ჩარკვიანის ავტომანქანის მოპარვის თაობაზე სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 5 თვის შემდეგ აღიძრა.

1978 წლის 12 აგვისტოს ქ. ქუთაისში გაქურდეს მოქალაქე გოგიაშვილის ბინა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ მილიციის ორგანოებმა დროზე მიიღეს შეტყობინება, საქმე მხოლოდ 1979 წლის აპრილში აღიძრა. ამავე ქალაქში მოქალაქე ბაბუხადიის ბინის გაქურდვის თაობაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მხოლოდ ერთი წლისა და 2 თვის შემდეგ.

როგორც ამ საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, ამ კატეგორიის საქმეთა თითქმის მეოთხედი უსაფუძვლოდ შეწყდა და ამ საქმეთა გასახსნელად საჭირო ოპერატიული მუშაობა არ წარმოებს. სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც აღიძრა სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოში, მოქალაქე ვ. გაბარაევის ბინის გაქურდვის ფაქტზე, არის მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, დაზარალებულის განცხადება და მისი დაკითხვის ოქმი.

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებელმა კუზალეიშვილმა სახელმწიფო ქონების მოპარვის საქმეზე 2 თვის მანძილზე მხოლოდ 2 საგამოძიებო მოქმედება შეასრულა და საქმის წარმოება შეწყვიტა.

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა უმრავლესობის მოკვლევა და წინასწარი გამოძიება ჭიანურდება, მათი 11 პროცენტის გამოძიების ვადები ირღვევა. უსაფუძვლო გაჭიანურების ხშირი შემთხვევები აქვთ მახარაძის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონის შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებს, ამ კატეგორიის საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უხარისხოდ არის გამოძიებული ქუთაისის, გურჯაანის, ლენტეხის, ლანჩხუთის რაიონების, ქალაქების ტყიბულის, რუსთავის გამომძიებლების მიერ. ცხადია, პასუხისმგებლობა ამ არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების გამო შესაბამისმა პროკურორებმაც უნდა გაიაზიარონ, რადგან სასამართლებში გაგზავნილ ამ კატეგორიის საქმეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გამო პროკურორებს სათანადო მითითება არ მიუციათ. ამასთან ერთად ქალაქებისა და რაიონების პროკურორები იშვიათად სვამენ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც არღვევენ კანონს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიეთ საპროკურორო ზედამხედველობა ამ კატეგორიის საქმეთა წინასწარი გამოძიებისადმი. მკაცრად დაისაჯნენ ზოგიერთი პროკურატურის მუშაკები.

დამფიქრებელია ის მდგომარეობა, რომ ქურდობის ჩამდენთა შორის ყოველწლიურად მატულობს ახალგაზრდობის ხვედრითი წილი. ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის ჩამდენთა საერთო რაოდენობიდან 14-დან 24 წლამდე ასაკისაა საგრძნობი ნაწილი. მათგან დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობდა და არ სწავლობდა 75 პროცენტზე მეტი, ბევრი მოსწავლე და სტუდენტი იყო.

ახალგაზრდების მიერ ჩადენილ ანგარებით დანაშაულობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი სახელმწიფო თუ მოქალაქეთა პირად ქონებას ხელმოკლეობის გამო არ იპარავენ. ჩვენი აზრით, ამ დანაშაულის სათავე, მისი გამომწვევი მიზეზები უნდა ვეძიოთ მოზარდი თაობის არასწორ აღზრდაში, აგრეთვე იმაში, რომ სასწავლებლებისა და წარმატება-დაწესებულებათა ადმინისტრაციები, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველთვის არ ტეხენ განგაშს ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო, არ იღებენ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

კოლეგიაზე პრინციპული საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ იმ პირთა 23-24 პროცენტი, რომლებსაც წინათ მოქალაქეთა პირადი ქონება მოუპარავთ, კვლავ სჩადის ანალოგიურ დანაშაულს. სხვა ფაქტორებთან ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად ვადამდე განთავისუფლებაა.

საუბარია იმ პირებზე, რომლებსაც შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით არ დაუმტკიცებიათ, რომ დაადგნენ გამოსწორების გზას. მიუხედავად ამისა შრომა-გასწორების დაწესებულებები მათი ვადამდე განთავისუფლების საკითხს აღძრავენ ხოლმე. ხშირად სასამართლოები კი კიდევაც ათავისუფლებენ მათ.

მსჯავრდებულთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ზრდილობიერ-ეკონომიური ღონისძიებანი ხშირად მიზანს ვერ აღწევენ მათი არაკონკრეტულობის გამო. არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საქმეში.

ამის გამო ქურდობისათვის ნასამართლევი პირებიდან ყოველი მეოთხე განთავისუფლების პირველ წელსვე სჩადის ახალ დანაშაულს, მეტწილად — კვლავ ქურდობას.

ქურდობასთან არაეფექტიანი ბრძოლის მიზეზთა შორის, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებებთან ერთად, მიგვაჩნია ქურდობის საქმეებზე სასამართლო ორგანოების დაბალი და არათანამიმდევრული დასჯითი პრაქტიკა, ზოგ შემთხვევებში ლმობიერი განაჩენის გამოტანა.

კოლეგიამ პროკურატურის მუშაკთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ქურდობასთან ბრძოლის გააქტიურება ერთდროული კამპანია არ არის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების (და არა მარტო მათი) ყოველდღიური სამუშაო და საზრუნავია ამ ბოროტების საბოლოო აღკვეთამდე. დღეს ქურდობასთან შემტევი, უკომპრომისო, მაღალპროფესიული ბრძოლა სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა ღირსების საქმეა.

ჩვენ პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს დავავალეთ ყოველი თვის შედეგების მიხედვით ქურდობის ყოველი შემთხვევის, მისი ხელშემწყობი ფაქტორების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ამასთან დაასახელონ ის თანამდებობის პირები, რომელთა უმოქმედობამ ან დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილობამ გამოიწვია ესა თუ ის დანაშაული ან კანონის რაიმე დარღვევა. გათვალისწინებულია, რომ ასეთი ინფორმაცია პარტიული, საბჭოთა და პროკურატურის ორგანოების ერთობლივი მსჯელობის საგანი გახდება და ოპერატიულად განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებანი.

ქურდობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ინტერესებისათვის, ასევე ამ დანაშაულის გავრცელების გამო, რესპუბლიკის მშრომელთა წინადადებებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ამ დღეებში მიღებული იქნება კანონი სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე.

სასჯელის გამკაცრება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს ქურდობასთან ბრძოლის ეფექტიანობას, ამ დანაშაულის აღკვეთა-აცილების უფრო რაციონალური ორგანიზაციის საქმეს.

ჯ. ნარმანია,
საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ბოროტება ნვრილვანებით იწყება

მიკრორაიონის საბჭო მსჯელობს

ზესრიგი ყველგან და ყველაფერში! — ამ დევიზით შრომობენ და ცხოვრობენ ადამიანები ჩვენს დედაქალაქში, ამ დევიზით აღწევენ ისინი ახალ-ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. დიახ, წესრიგი საჭიროა ყველგან, საწარმო იქნება ეს თუ დაწესებულება, ოჯახი თუ სკოლა, საზოგადოებრივი თუ ადმინისტრაციული ორგანო...

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უშუალოდ არის დაკავშირებული სამართალდარღვევებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლასთან. თუ როგორი წესრიგი გვექნება ქალაქში, რაიონსა თუ მიკრორაიონში სწორედ ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული. მართალია, უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს დედაქალაქში ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგან ეს ბრძოლა ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათისაა და, სამწუხაროდ, დანაშაულობათა შემცირების ნაცვლად, საქმე გვაქვს მათ ზრდასთან.

ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა თბილისის ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონებში, სადაც დანაშაულობებმა საგრძნობლად იმატა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა კალინინის რაიონის ვერის მიკრორაიონის საბჭოს სხდომა, სადაც განხილეს მიკრორაიონში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განმტკიცების საკითხი.

მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარის გ. ფანჯიკიძის მოხსენებაში ვრცლად იყო გაშუქებული ვერის მიკრორაიონში შექმნილი ვითარება. ის ფაქტი, რომ იანვარსა და თებერვალში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით რაიონში საგრძნობლად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მდგომარეობა სთან გვაქვს საქმე. მომავლდა ბინის გაქურდვა, ხულიგნობა, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, გაუხსნელი საქმეები.

ვერის მიკრორაიონის საბჭო ერთი წელიც არ არის, რაც შეიქმნა. ამდენად მას ჯერ კიდევ არ გაუშლია სამოქმედო ასპარეზი, საქმე კი თავისთავად მოზღვავდა და, ბუნებრივია, დროულად ითხოვს შველას. მთავარია მუქთახორების, ქურდების, სპეკულიანტების, ხულიგნების, ალკოჰოლისტებისა და ნარკომანების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავაბათ საზოგადოებრივი აქტივი. ზოგი ფიქრობს — ეს რა ჩემი საქმეა, განა ცოტა მაქვს საფიქრალი და საზრუნავი, მოდი იმან იმტვრიოს თავი, ვისაც ეხებაო. აი სწორედ ასეთი „მსჯელობით“ იწყება ნამდვილი დანაშაული.

საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ყოველნაირად შეუწყოს ხელი და მხარში ამოუდგეს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას. სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექციაც, რომელსაც თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, რადგან მისი თავმჯდომარე, ამავე მიკრორაიონის მცხოვრები, კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ბავშვთა ოთახის უფროსი ინსპექტორი ა. მდივნიშვილი არც კი დაინტერესებულა საქმით. როგორც ვხედავთ, სექციის მუშაობის ჩაშლაში უპირველესად თვით ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს მიუძღვის ბრალი. საერთოდ მიკრორაიონის საბჭოს და მისი სექციების მუშაობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ კონტაქტს, რომელიც მათსა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა ერთობლივ მუშაობაში უნდა იგრძნობოდეს.

აქ კი ეს არ იგრძნობა და სწორედ ამის ბრალიც არის, რომ იმატა დანაშაულობამ. ზედმეტი არ იქნება, თუ საინსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

წლების განმავლობაში ლარისა და კიკალეიძის ქუჩებს შორის არსებული ხევი ანტისანიტარიის ბუდედ იყო გადაქცეული. ვერის მიკრორაიონის საბჭოს ერთმოქმეწყობის სექციის ინიციატივით ხევი გადაღობეს, გაასუფთავეს, ლარისის ქუჩის მხარეზე ბავშვთა მოედანი მოაწყვეს, ხოლო კიკალეიძის ქუჩის მობინადრეებმა ბაღი გააშენეს. მაგრამ ეს სასიკეთო საქმე არ მოეწონა ზოგიერთ მობინადრეს. მათ უარყვეს საბჭოს გადაწყვეტილება, თავხედურად დაეჭრეს მავთულბადის ღობე და ნარგავები ამოყარეს. შედეგა სათანადო აქტი, მაგრამ დამნაშავეთა წინააღმდეგ დღემდე არავის არ მიუღია ზომები.

საკმაოდ გახმაურდა 51-ე საშუალო სკოლის ამბავი. აქ მე-9 და მე-10 კლასის ოცამდე მოსწავლე ხან საკლასო ოთახებში, ხან სკოლის გარეთ — კიროვის პარკში აზარტულ თამაშს მისდევდა. მოგებული თუ წაგებული თანხა დაახლოებით 300-500 მანეთს აღწევდა. როგორც გამოირკვა, ამ თამაშში მონაწილეე ზოგიერთი მოსწავლე ნარკოტიკულ ნივთიერებასაც იღებდა, სად იყვნენ ამ დროს პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, მშობლები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები?

არ შეიძლება გვქონდეთ ავუაროთ და არ აღვიქვეოთ ნარკომანები. ასეთები კი საკმაოდ არიან რაიონში. ამ საქმის „ოსტატები“ თავს იყრიან 51-ე, 53-ე, 49-ე სკოლებთან და ამფსონებს ეღოდებიან. ისინი არ ივიწყებენ ქუჩიშვილის ქუჩაზე განლაგებულ აბანოს საორთქლესა და საქვაბეს, გარშემო მყოფ მობინადრეებს და ნ. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმის მოსწავლეებს.

რა თქმა უნდა, ხშირად სცოდავს ოჯახიც, რომელიც უპირველესად არის პასუხისმგებელი შვილის აღზრდისათვის. ზოგ დედას კარგ აღზრდად შვილის ფუფუნებაში ყოფნა და მისი ყოველი ჭირვეულობის შესრულება მიაჩნია, სწავლა და შრომა აკეთილშობილებს ახალგაზრდას, ყოველ ადამიანს. ამიტომ სწორედ ამისადმი უნდა წარმართოთ მთელ

დრო, ამბები, მოვლენები

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები გვეტყობინებენ

ხელოვნება გვაახლოებს

მუსიკალური შეხვედრები აფხაზეთში

12 მაისს სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა აფხაზური და ქართული მუსიკის დღეები.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ქეცბა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ორჯონიკიძემ.

შემდეგ გაიმართა მეგობრობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი — საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ჯერგენია), აგრეთვე აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები. შესრულდა ზ. ფალიაშვილის, ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, ა. შაყირზაშვილის, ო. გორდელის, ა. ჩიჩბას, ვ. ჭკადუას, რ. გუმბას, ლ. ჩეპელიანისკის და სხვათა ნაწარმოებები.

მეგობრობის საღამოზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსაძე.

ი. გოგეჩია.

მზარდი შემოქმედებითი კოლექტივი

ქუთაისელთა გასტროლები თბილისში

ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ დაიწყო თბილისში ქუთაისის ოპერის თეატრის გასტროლები. ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის ოპერის თეატრი თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს უჩვენებს შვიდ საუკეთესო წარმოდგენას, მათ შორის ვერდის „რიგოლეტოს“, ო. თაქთაქიშვილის „მინდიას“, როსინის „სევილიელ დალაქს“, ლეონკავალოს „ჯამბაზებს“, ს. ციწკაძის „პოემას“.

— ჩვენი ახლანდელი გასტროლები თეატრის კოლექტივის თავისებური შემოქმედებითი ანგარიშია — თეატრს ხომ ათი წელი შეუსრულდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თეატრის შთავარმა რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ. — თბილისში საჩვენებლად სპექტაკლების შერჩევის დროს ვცდილობდით საგასტროლო რეპერტუარში შეგვეტანა დადგმები, რომლებიც მაყურებელს სრულ წარმოდგენას შეუქმნის კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალის, მისი მაგისტრალური მიმართულების შესახებ. ათი წლის მანძილზე თეატრმა ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების, თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებთა მიხედვით 30-ზე მეტი სპექტაკლი დადგა. თეატრის შემოქმედებითი კრედოა კლასიკური მემკვიდრეობისადმი ერთგულება, საოპერო სცენაზე თანამედროვე თემატიკისა და სტილის მუდმივი ძიება.

ამ რა გვითხრა ქუთაისის ოპერის თეატრის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა და მისი ჩამოყალიბების აქტიურმა მონაწილემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ:

— დარწმუნებული ვარ, რომ ქუთაისელთა ხელოვნებასთან ახალი შეხვედრა ბევრ სასიხარულო წუთს განაცდევინებს მუსიკის მოყვარულთ. ეს მზარდი შემოქმედებითი კოლექტივია, რომელიც გამოირჩევა დიდი პროფესიული ოსტატობით, შესანიშნავი შემსრულებლობით. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ზზრად გამოდიან ქუთაისის სცენაზე, და ახალგაზრდა მომღერლები, რომელთაგან ბევრი ნებისმიერ საოპერო დასს დაამშვენებდა, მართლაც ღირსეულ პარტნიორობას უწევენ მათ. (საქინფორმი).

საგუქარი თავისუფლების კუნძულს

ქართველი მხატვარი — კუბური ჟურნალის ფურცლებზე

როდესაც კუბელი ჟურნალისტი ჰუგო რუსი კობა გურულს ეწვია, გაუკვირდა, მასპინძელმა რომ ჟურნალი „ბოჰემიის“ ბოლო ნომერი გაუწოდა. ამ ჟურნალს რეგულარულად ვიღებთ, უთხრა მხატვარმა და ისიც აუწყა, ბევრი კუბელი მეგობრისათვის ფარულად გადებულა ჩემი სახლის კარი, 1963 წელს კი თვით ამხანაგ ფიდელ კასტროს ეუმასპინძლეო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჰუგო რუსმა ჟურნალ „ბოჰემიის“ ოთხ გვერდზე გამოაქვეყნა ულამაზესად ილუსტრირებული ვრცელი სტატია, რომელშიც აღწერს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს კობა გურულის შემოქმედებას, რომელსაც „ასე საოცრად გადაქცეს სილამაზე ლითონზე“.

— „მხატვრის სახელოსნო გვთავაზობს შესანიშნავ გამოფენას შემოქმედისას, — წერს ჰუგო რუსი, — ადამიანისას, რომელმაც თავისი ძლიერი ხელებით შეძლო ხელოვნების ნატიფ ქმნილებად ექცია მშობელი ხალხის სული და შეემუშავებინა ყველაზე უფრო თანამედროვე და საერთაშორისო ფორმები. კობა გურულის თანდაყოლილი თავმდაბლობა, რომელიც ესოდენ შერწყმია ღრმა ესთეტიკურ ინტელექტუალობას, მძაფრი ტემპერამენტი და უმორის საოცარი გრძნობა როგორც თავის თავისადმი, ისე სხვათა მიმართ, ღრმად ინდივიდუალური და ქართული ხასიათი, მთელი სიზუსტით ასახულა მხატვრის შემოქმედებაში“.

ჰუგო რუსი აღტაცებით მოუსმენიებს კობა გურულის უკვე აღიარებულ ნამუშევრებს და ჟურნალის მკითხველებს აცნობს მხატვრის მომავალ გეგმებს.

— სანამ დავტოვებდი სახლს ნიკუტაძის ეზოზე, წერს იგი, — მასპინძლის დიდ სამასხოვრო წიგნში საუკეთესო სურვილები გამოვხატე. კობასადმი „კუბისადან... რამდენიმე საათის შემდეგ კი, მოსკოვში გადფრენის წინ, აეროპორტში მოთრმინა საოცრად თავაზიანმა ქართველმა მეგობარმა, რომელმაც რაღაც ნივთი გადმომცა. ეს იყო კობას საჩუქარი — მზისა და მთვარის რელიეფური გამოსახულება მოწითალო ფერის სპილენძის ფირფიტაზე, ზედ კი წარწერა გაკრული ხელით — „თავისუფლების კუნძულს და კუბელ მეგობრებს — სიყვარულით!“

ქართველი მხატვრის ქმნილებამ კიდევ ერთ მეგობარ ქვეყანაში — ამჯერად კუბაში დაიღო ბინა.

ლ. მიქაძე.

სურათზე: კობა გურული და მისი შემოქმედება კუბური ჟურნალის ფურცლებზე.

110 წლის იუბილარი

აფხაზეთი ცნობილია დღეგრძელი ადამიანებით. ამ კუთხეში მრავალი ხანდაზმული ცხოვრობს და შრომობს, მათ შორის არის ტყვარჩელელი ნაფია ხაშნის ასული კვეკვესკირია.

ამას წინათ მას დაბადების 110 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად მის ოჯახში დიდი ზეიმი გაიმართა.

50-ზე მეტი შთამომავალი შეიკრიბა იმ დღეს დიდი ბებიას იუბილეზე. მოვიდნენ შვილები, შვილიშვილები, ბაღიშვილები, ნათესავები. მათ იუბილარს მიაჩარეს საჩუქრები, უსურვეს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

გ. ეგანოიძე.

ზაფხულის სამეცნიერო მარშრუტებით

ზაფხულის დადგომისთანავე რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხისაკენ გაემართება ასობით სამეცნიერო ექსპედიცია ბუნების საიდუმლოებათა გაცნობისათვის, გარემოს შესახებ ცოდნის მარაგის გაზრდისათვის. ახლა გეოლოგები და ბოტანიკოსები, ეთნოგრაფები და გეოგრაფები აზუსტებენ ზაფხულის სამუშაოების გეგმებს, დეტალურად ამუშავებენ მომავალ მარშრუტებს. საქინფორმის კორესპონდენტმა სოხოვა რამოდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელებს გაეცნოთ ქართველი მეცნიერების ზაფხულის ექსპედიციების მარშრუტები.

ექსპედიცია ველად გავიდა

ა. ფ. ასლანიკაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონში ჩვენი ინსტიტუტის დაახლოებით ოცდაათი ექსპედიცია და საექსპედიციო ჯგუფი გაემგზავრება.

სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის მახლობლად იმუშავებს ზღვის ნაპირების დინამიკისა და მორფოლოგიის შემსწავლელი დიდი ექსპედიცია. იგი გამოიკვლევს მიმდინარე ტერიტორიებს, ზღვის წყალქვეშა რელიეფს. ექსპედიციის მონაწილეთა განკარგულებაშია სამეცნიერო-კვლევითი გემი „ვახუშტი ბაგრატიონი“, რომელიც უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი. აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციასთან დაკავშირებულია ბევრი სხვა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის საქმიანობა. ესენი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები, სტუდენტი პრაქტიკანტები, პარალელური მიმართულებებით მომუშავე მეცნიერები. გლაციოლოგები გაემგზავრებიან ონის რაიონში. აქ, შოვის მახლობლად ისინი შეისწავლიან ცენტრალური კავკასიონის მყინვარების კვებასა და რეჟიმს, ხოლო ლაბორატორიის თანამშრომელი სპელეოლოგები და კასტოლოგები დედამიწის წიაღს გამოიკვლევენ. ამ ექსპედიციის მიზანია დასავლეთ საქართველოს კარსტული ღრუების შესწავლა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის თხოვნით ჩვენი სპეციალისტები დაეხმარებიან კოლეგებს აფხაზეთის ქედზე თოვლის უნიკალური უფსკრულის ათვისებასა და დეტალურ შესწავლაში. წინასწარი გაანგარიშებით ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კარსტული ღრუა. ჰიდროლოგიის ყურადღება მიიპყრო ათობით ნაკლებად შესწავლილმა ტბამ ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე. მათი გამოკვლევა ხელს შეუწყობს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

საინტერესო სამუშაოები ელით ეკახეთში თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების შემსწავლელ ექსპედიციებს. აქ, ალაზნის მარცხენა ნაპირზე, იდეალური პირობებია ღვარცოფებისა და მეწყერების წარმოქმნისა და მოძრაობის კანონზომიერებათა განსაზღვრისათვის.

აჭარაში იმუშავებენ დედამიწის ატმოსფეროს გაუჭუყიანებასთან ბრძოლის სპეციალისტები. სპეციალური ჯგუფები გაიგზავნება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, რათა განსაზღვრონ ყველაზე ლამაზი ადგილები ახალი ტურისტული მარშრუტებისათვის.

კიდევ რამდენიმე დიდი ექსპედიცია მისცემს დასაბამს კოლხეთის დაბლობის კომპლექსურ შესწავლას. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ ჰიდროლოგები, ეკონომისტი-გეოგრაფები, კლიმატოლოგები, ლანდშაფტმცოდნეები.

ნ. ნ. კეცხოველი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი

წელს ჩვენი ინსტიტუტის მუშაკები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მდინარე ცხენისწყლის ხეობის შესწავლას. კომპლექსური ექსპედიცია, რომელმაც ერთი წლის წინათ შეისწავლა ქვემო სვანეთის ველური და კულტურული ფლორის შემადგენლობა და მცენარეულობის ტიპოლოგია, დაადგინა ბუნებაზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენის კანონზომიერებანი, განაგრძობს ამ მუშაობას ლეჩხუმში.

აქ, აგრეთვე მთათუშეთსა და ლაგოდეხის რაიონში, შეაგროვებენ სხვადასხვა გეოლოგიური ეპოქის ფლორისა და მცენარეულობის ისტორიის ამსახველ მასალებს.

მაღალი მთის ეკოლოგიური სისტემების კომპლექსური შესწავლა გათვალისწინებულია ყაზბეგის რაიონში. კიდევ ერთი ექსპედიცია გამოიკვლევს სპოროვან მცენარეებს ბიჭვინთაში და მიუსერის ნაკრძალში.

გ. ა. თვალჭრელიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ბოლნისი რაიონში მუშაობას შეუდგა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის გეოლოგიურ-მეთოდური პარტია. მეცნიერები საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ექსპედიციის სპეციალისტებთან ერთად შეისწავლიან მეტალურგიის საჭიროებისათვის მადნეულის რაიონის პერსპექტიულობას. გეოლოგები დარწმუნებული არიან: რესპუბლიკის ამ რაიონის წიაღში სპილენძ-პოლიმეტალების მადნების მდიდარი საბადოებია, რაც საჭიროა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სანედლეულო ბაზის განვითარებისათვის. ამის დადასტურებაა წითელსოფლის საბადო, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ გამოავლინა მადნეულის საბადოს ერთ-ერთმა პირველადმომჩენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ნაზაროვმა. იგი ისევე პერსპექტიულია, როგორც მადნეულის საბადო.

გეოლოგთა კარგები გაჩნდა აფხაზეთის სვანეთის მთებშიც. აქ სპეციალისტები შეისწავლიან კოლჩედან-პოლიმეტალებისა და პოლიმეტალური მადნების ფარული ბუდობების ძიების ახალი მეთოდების პერსპექტიულობას. აფხაზეთის მთებში, როგორც გეოლოგებს მიაჩნიათ, არის საბადო, რომელიც სიმდიდრით არ ჩამოუვარდება აზერბაიჯანის ცნობილ ფილისჩალის საბადოს.

წელს მარტო კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერთა ძალებით მოეწყობა 13 ექსპედიცია კავკასიაში წაღისეულის ახალ სიმდიდრეთა გამოვლინების და ადრე გამოვლინებულ საბადოთა საზღვრების გაფართოებისათვის.



სურათებზე: ვერცხლის მედალიონი ქალ-ღვთაების გამოსახულებით (ძვ. წ. II-I სს); ოქროს ფირფიტა არამეული დამწერლობით; ვერცხლის ქანდაკები (II ს.).

სვანური კოშკი — ბორის ძველაძეში

რესპუბლიკის კომკავშირელთა ძალებით დღითი დღე მშვენდება მომავლის ქალაქი ბორის ძველაძე. სულ მალე მას მესტიელი ახალგაზრდების მიერ უსასყიდლოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე აგებული სვანური კოშკის კომპლექსი შეემატება. ეს იქნება არა მარტო სამუზეუმო ექსპონატი, არამედ ახალგაზრდების შეკრებებისა და სხვადასხვა ღონისძიებათა გასამართავი ადგილიც.

მშენებლობას სათავეში უდგას საქართველოს კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი. მუდამ დაუდგრომელი და მოუსვენარი ბორისი ბევრი სიახლის ინიციატორია. იგი რაიონის ახალგაზრდებს რაზმავს კეთილშობილური საქმისათვის. აკი მესტიელმა ახალგაზრდებმა პირველად თავი ისახელეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპრისა და ბალეტის თეატრის აღდგენითს სამუშაოებზე. შემდეგ თვითონ ააშენეს მშობლიურ რაიონში ახალგაზრდული კლუბები „ბეთქილი“ და „შგარიდა“, მუსლახის სპორტული კომპლექსი, წელს კი ლატალში დაამთავრებენ გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობას. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი კარგი ჩანაფიქრი აქვთ მესტიელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს...

ბორის კახიანი გვეუბნება:

— სვანური კოშკის ასაგებად ყოჩაღი ბიჭები წამოვიყვანეთ, შეეგმენით ორი ბრიგადა. ერთს თვითონ ვხელმძღვანელობ, მეორეს კი კომკავშირის რაიკომის მდივანი გურამ გურჩიანი. დაუღალავად შრომობენ ნოდარ გურჩიანი, მელიტონ პაკელიანი, დავით ფილფანი, კორნელი გირგვლიანი და სხვები.

19 მეტრი სიმაღლის, ექვსსართულიანი კოშკის პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი ნუგზარ ჩხეტიანი. კოშკის მშენებლობა ჯალე დამთავრდება.

მ. ნოდია.

ახალი აღმოჩენები ვანში

მიწისქვეშა საუკუნეები

ფარდა ეხდება „ლეგენდარული“ კოლხეთის ისტორიას

სატელევიზიო კინომოგზაურობათა კლუბმა მოსკოვიდან ამ ცოტა ხნის წინათ უჩვენა ფილმი ვანის არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო მკითხველთა წერილები, რომლებშიც ისინი გვთხოვენ გავაცნოთ ვანის ნაქალაქარის აღმოჩენები.

ვანის — ამ საოცარი ნაქალაქარის არქეოლოგიურ მონაპოვარზე არაერთხელ გვიამბია „კომუნისტის“ მკითხველებისათვის, არქეოლოგები ყოველწლიურად ახალ-ახალი მონაპოვრებით ფარდას ხდიან „ლეგენდარული“ კოლხეთის ისტორიას.

ამჯერადაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ვანის ექსპედიციის ხელმძღვანელს, პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძეს შეხვდა და სთხოვა ეამბნა ნაქალაქარში ახლად აღმოჩენილი მასალების შესახებ.

ა ი, რა გვითხრა მან:

„საგანძურის“ დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა. საქმე ის არის, რომ „საგანძურის“ ნანგრევების გათხრისას, ზედა ფენებში აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალები, რომლებიც აშკარად არ ეკუთვნის ბათქაშებიან ნაგებობას და შესაძლოა ჩამოცვივდა იქვე მაღლობიდან, სადაც უთუოდ კიდევ ერთი მონუმენტური ნაგებობა იყო აღმართული. ამაზე მიუთითებს აქვე ნაპოვნი კარგად გათლილი ქვის ფილები და პროფილირებული კარნიზები, მარმარილოს რელიეფის ფრაგმენტები, რომელზეც ადამიანის ქვედა კიდურების გამოსახულებაა შემორჩენილი, თიხის ანტეფიქსის ნატეხი და სხვა.

ნაგანგებოდ არის აღსანიშნავი კიდევ ერთი, მაგრამ ჯერ სრული საიდუმლოებით მოცული აღმოჩენა. ეს გახლავთ ქვედა ტერასაზე მოკვლეულ ძვ. წ. II საუკუნის საკულტო-სატაძრო კომპლექსის მახლობლად, კლდოვან დოდაქანში ამოკვეთილი გრანდიოზული „ორმო“. მისი ზედა დიამეტრი ექვს მეტრს აღწევს და რამდენადმე ოვალური მოყვანილობისაა, შემდეგ ოთხ მეტრ სიღრმეზე ორმო სწორკუთხედის ფორმას იღებს. ამკვამად მისმა სიღრმემ 13 მეტრს მიაღწია და ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო...

ამ საოცარი ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები კვლავ გაგრძელდება და იგი ყოველწლიურად ესოდენ საინტერესო და ზოგჯერ საიდუმლოებით მოცული მონაპოვრითაც გვასაჩუქრებს.

დასასრულ, ექსპედიციას თავის სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია გულითადი მადლობა მოახსენოს რაიონის ხელმძღვანელობას და მშრომელებს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც ექსპედიციას უწევდნენ.



ბრინჯაოს ქანდაკების (ან სკულპტურული კომპოზიციის) მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. მათგან გამოირჩევა ადამიანის სხეულის ძლიერ დაზიანებული ნაწილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველის ფაფარში ჩაფრენილი მამაკაცის ხელის მტევანი, შესანიშნავად მოდელირებული ადამიანის ყური, გველის თავები და ტანის ნაწილები, ცალკეული გრავირებული ორნამენტით შემკული ფრაგმენტები და მრავალი სხვა.

საკურთხეველიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ფიქსირებულია მცირე ზომის ნაგებობის ნანგრევები. ნაგებობა, ეტყობა, ხის წნულებით აუშენებიათ და შემდეგ შეუღესავთ. ბათქაშებს ნანგრევებქვეშ აღმოჩნდა მრავალი ნივთი. მთელ ფართობზე გაბნეულია ვერტიკალური საქსოვი დაზგისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ზომის თიხის პირამიდული საწყაფები — სულ 104 ცალი. ნაგებობის შიგნით სხვადასხვა მონაპოვარს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუცხოო ვერცხლის მედალიონი—ქალღმერთის ბიუსტის ჰორელიეფური გამოსახულება და ორი ტანშიშველი ჭაბუკის მცირე ზომის ვერცხლის ქანდაკება. ორივეს თმის მაღალი ვარცხნილობა აქვს. ერთი ქანდაკების სიმაღლე 8,5 სანტიმეტრია, მეორისა — 7 სანტიმეტრი. ერთ-ერთ ჭაბუკს მარჯვენა ხელში ფიალა უჭირავს და, შესაძლოა, შეწირულების რიტუალის შესრულებისას არის გამოსახული. ახალაღმოჩენილი ქანდაკებები ელინისტური პლასტიკის ბრწყინვალე ძეგლებია, დიდი ბერძენი მოქანდაკის პრაქსიტელეს გავლენით რომ იქმნებოდა. და ბოლოს, აქვე აღმოჩნდა ორი ოქროს სწორკუთხა ფირფიტა, რომლებიც, ალბათ, რაიმე ნივთის გარსაკრავია. ორივე დაზიანებულია (მთლიანად დაცული ფირფიტის ზომებია 5,5X9,5 სმ). ერთ მათგანზე ამოტვიფრულია ადამიანის სახე და ცვარათი შემოვლებული წრეები; მეორეზე — ასევე ტვიფრით შესრულებულია „თოკისებური“ ორნამენტი და სამიტიური ენის ერთ-ერთი დამწერლობის (როგორც ფიქრობენ არამეულის) ნიშნები. მათ ამოკითხვაზე უკვე დაიწყო მუშაობა ცნობილმა სემიტოლოგმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა კ. წერეთელმა.

საფიქრებელია, რომ ეს ნივთები შეწირულებაა, რომელიც საკურთხეველის „საგანძურში“ ინახებოდა. გათხრები ამ ნაკვეთზე ჯერ არ დამთავრებულა. მრავალ საინტერესოს გვპირდება ორი ოქროს სწორკუთხა ფირფიტა, რომლებიც, ალბათ, რაიმე ნივთის გარსაკრავია. ორივე დაზიანებულია (მთლიანად დაცული ფირფიტის ზომებია 5,5X9,5 სმ). ერთ მათგანზე ამოტვიფრულია ადამიანის სახე და ცვარათი შემოვლებული წრეები; მეორეზე — ასევე ტვიფრით შესრულებულია „თოკისებური“ ორნამენტი და სამიტიური ენის ერთ-ერთი დამწერლობის (როგორც ფიქრობენ არამეულის) ნიშნები. მათ ამოკითხვაზე უკვე დაიწყო მუშაობა ცნობილმა სემიტოლოგმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა კ. წერეთელმა.

საფიქრებელია, რომ ეს ნივთები შეწირულებაა, რომელიც საკურთხეველის „საგანძურში“ ინახებოდა. გათხრები ამ ნაკვეთზე ჯერ არ დამთავრებულა. მრავალ საინტერესოს გვპირდება

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02181

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მუშაობლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, აღგილმდებარეობა ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღები — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 421-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

განვლილი ზურის ექო

საკლესიოს დავალებით, ეროვნულ ფეხბურთში ერთ-ერთ ჩემპიონატის ყოველი ტურის შემდეგ „ფუტბოლ-ხოკეის“ მთავარი რედაქტორი ლევ ფილატოვი მკითხველებს საინტერესო მიმოხილვებს სთავაზობს ხოლმე. წლეულს „კომუნისტმა“ უკვე გამოაქვეყნა ფილატოვის მოსაზრებები თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა ამასწინანდელ შეხვედრაზე. ამჯერად ჩვენს ხელთაა ამ ცნობილი ჟურნალისტის კიდევ ერთი მიმოხილვა, რომელს ნაწილსაც ვაქვეყნებთ:

წლევანდელი ჩემპიონატის დასაწყისი მოგვაგონებს კროსის სტარტს, როცა არავინ არ ჩქარობს წინ გაიჭრას. გავიდა შვიდი ტური, ლიდერები კი, თუ ცხრილით ვიხელმძღვანელებთ, ჯერჯერობით ნომინალურია, გუნდების ნახევარს აქვს შესაძლებლობა სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცეს, თუნდაც ერთი მედგარი გაბრძოლების შედეგად.

მაგრამ თუ წინა კვირამდე სრული საფუძველი გვქონდა გვეთქვა, რომ ეს აუჩქარებლობა და ჯგუფურობა არც თუ კარგი თამაშის შედეგია, ახლა შეიმჩნევა გამოცოცხლება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კიევის „დინამომ“, „სპარტაკმა“ და თბილისის „დინამომ“ — ამ ყველაზე გამოცდილმა ჩვენმა „კოსმენებმა“ იგრძნეს, რომ დროა საქმეს ხელი მოჰკიდონ.

„მეტად საყურადღებოა ისიც, რომ კიეველებმა გაიტანეს ყველაზე მეტი (15) ბურთი, მაშინ, როცა შარშან ამ მაჩვენებლით ვერ იყვნენ საუკეთესოთა შორის, რომ „სპარტაკს“ ექვს მატჩში შვიდიდან არ გაუშვია არც ერთი ბურთი, რომ თბილისელები მოსკოვის არმიელებთან უკანასკნელ შეხვედრაში, ბოლოსდაბოლოს, ისე უტევდნენ, როგორც თამ სჩვეთაა...

ფილატოვი აგრეთვე მოგვითხრობს ლენინგრადის „ზენიტის“ — სწორედ იმ კოლექტივის შესახებ, რომელთანაც ჩემპიონატის მორიგი მატჩის გამართვა უწევს თბილისის „დინამოს“ (16 მაისს, თბილისში).

და ბოლოს, ფილატოვი გვესაუბრება წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ მთავარ მოვლენაზე — ფორვარდების მიმართ გაზრდილ ინტერესზე.

...წლევანდელ საერთო მოვლენად უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც ახლა ფორვარდია გარემოსილი... სავსებით ცხადია, რომ მწიფდება მოთხოვნა ახალგაზრდა, გაბედულ თავდამსხმელებზე, და სწორედ ამიტომაც მათ წინაშე ფართოდ იღება კარი გუნდებში.

კარგია, თუ ეს უკვე კარგად მოფიქრებული ხაზია. ჩვენს ფეხბურთში, რაც უნდა საოცრადაც მოგვეჩვენოს, ფორვარდი, როგორც ასეთი, დიდხანს მწვრთნელთა გაცილებით ნაკლები პატივით სარგებლობდა, ვიდრე ეს საჭირო იყო. ეს აქცენტების არც თუ სწორი გადაადგილება, ჩემი აზრით, ნაკარნახევი იყო დაცვითი, ხშირად საქმიანი ტენდენციებითა და უნივერსალიზმის პრიმიტიული გაგებით, როცა უპირატესობა ეძლეოდათ მოთამაშეებს, რომლებმაც ცოტ-ცოტად იცოდნენ ყველაფერი.

სხვა თამაშორის ფორვარდობას მოწოდება სჭირდება, იგი უნიკალურია და მას უნდა ვუფრთხილდებოდეთ. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ გაიტანეს უკანასკნელ ტურში ბურთები თბილისელებმა ჩელებაძემ და შენგელიამ მოსკოველ არმიელთა კარში. ორივე გოლს წინ უძღოდა ყიფიანის დაბეგვილი პასები, შემდეგ კი ორივე თავდამსხმელმა მარჯვედ, არასტანდარტულად, ზუსტად დაარტყეს კარში ისე, როგორც ნამდვილ ფორვარდებს შეშვენით...

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

14 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვარშია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარშავში (მ.), 17.20 — „ბიბლიოთეკა ფილმი“ — მათემატიკა (ფ.), 17.50 — განცხადებები (ფ.), 17.55 — შვეიცარელი ბავშვი — „ფუტბოლ-ხოკეის“ მთავარი — (აშშ), ოსკარ პანორმ (არგენტინა) და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ეფსელ სმისლოვმა (სსრ კავშირი) კოეფიციენტების ცხრილის თანმიხედვით პირველობა მიეკუთვნებაუნს, მეორე ადგილი — პანონს, მესამე — სმისლო